1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (478)

1980 წლის ოქტომბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (478) ოქტომბერი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

287. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

288. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

### განყოფილება მეორე

289. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. ი. თევზაძის მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

290. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

291. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

292. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. გ. მჟავანაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

293. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხატვრო და სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების პედაგოგებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

294. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მუშაკებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

295. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. ი. გოკიელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

296. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ჩიქვილაძისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

297. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ნ. გეჯაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

298. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ი. პაპისოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

299. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

300. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. გ. გილიგაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

301. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ტ. გოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

302. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

303. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

304. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. აგლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

305. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

306. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. აძალობელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

307. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ხ. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

308. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. პ. დაუშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

309. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. მ. ვოლფენზონის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

310. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. თ. თოდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

311. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. კვაჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

312. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. სკაჩკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

313. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. შაიშმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

314. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ჭავჭანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

315. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. ხანაწაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

316. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. გ. ბადურაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

317. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის ორგზის წითელდროშოვანი სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

318. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. ალექსანდროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

319. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

320. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ე. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

321. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. გვინჩიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

322. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. მარტი-როსოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

323. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ბ. შუბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 287 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 12 მარტის ბრძანებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ. № 6, მუხ. 118, 1974 წ. № 11, მუხ. 206, 1977 წ. № 6, მუხ. 78 და № 11, მუხ. 158; 1980 წ. № 3, მუხ. 78) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მეორე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის მოქალაქეთა შრომის უფლებას, — ანუ უფლებას მიიღონ გარანტირებული სამუშაო შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, — მათ შორის უფლებას — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება, შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება, პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება“.

„მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ დასვენების უფლება სამუშაო დღის და სამუშაო კვირის შემცირებისა და ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ კანონების შესაბამისად, აქვთ უფლება ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის პირობებისა, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა, წარმოების მართვაში მონაწილეობისა, მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა, შრომის უნარის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის შემთხვევაში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით სახელმწიფო სახსრებით მატერიალური უზრუნველყოფისა“.

2. 22-ე მუხლის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მათი თანხმობით გადაჰყავთ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან რომლებსაც სამუშაოდ აგზავნიან ტერიტორიალურად სხვა ადგილას“.

3. 30-ე მუხლის მეხუთე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5) მუშაკის გადაყვანა მისი თანხმობით სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან არჩევით თანამდებობაზე გადასვლა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 45-ე მუხლის მესამე ნაწილში, 83-ე მუხლში და 102-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „არა უგვიანეს ორი კვირისა“ შეიცვალოს სიტყვებით „არა უგვიანეს ერთი თვისა“.

5. 54-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვის „გათვალისწინებულია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობით და“.

6. 62-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„დასვენების დღეს ცალკეული მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაოდ გამოწვევა, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ გამონაკლისის სახით სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში“.

ამასთან დაკავშირებით მეორე და მესამე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მესამე და მეოთხე ნაწილებად და მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „მხოლოდ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვით და მხოლოდ“.

7. 74-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 74. უხელფასო შვებულება

ოჯახური პირობების და სხვა საპატიო მიზეზების გამო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოო ერთეულის ხელმძღვანელის ნებართვით მუშას ან მოსამსახურეს მისი განცხადებით შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება, რაც ფორმდება ბრძანებით (განკარგულებით)“.

8. 94-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის კანონმდებლობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ცალკეული კატეგორიების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეიძლება დაწესებულ იქნეს ხელფასის გაცემის სხვა ვადებიც“.

9. 110-ე მუხლში:

ა) მე-2 და მე-6 პუნქტებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“;

ბ) მეოთხე პუნქტში სიტყვები „მშრომელთა კოლექტივების“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომითი კოლექტივების“.

გ) მეხუთე პუნქტში სიტყვები „ამ ორგანოების დებულების შესაბამისად“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად“.

10. $121^{2}$ მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი“.

11. $121^{3}$ მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. 175-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოები" შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოები".

13. 218-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების" შეიცვალოს სიტყვებით „ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების".

14. 232-ე და 233-ე მუხლების სათაურები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 232.** დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებით უზრუნველყოფა";

„**მუხლი 233.** ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარებით უზრუნველყოფა".

15. დაემატოს კოდექსს მუხლი 233¹ შემდეგი შინაარსისა:

„**მუხლი 233¹** სოციალური დაზღვევის წესით დახმარების გაცემისა და ოდენობის ძირითადი პირობები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით დახმარების გაცემისა და ოდენობის ძირითად პირობებს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად".

16. 234-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშებს, მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს პენსიები დაენიშნებათ სახელმწიფო პენსიების შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად".

17. 237-ე მუხლში:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად კონტროლს შრომის კანონმდებლობასა და შრომის დაცვის წესების შესრულებაზე ახორციელებენ";

ბ) მეორე ნაწილში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების" შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა";

გ) მესამე ნაწილში სიტყვები „სამინისტროები და უწყებები" შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები";

დ) მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის შესახებ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ხორციელდება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მისდამი დაქვემდებარებული საქართველოს სსრ პროკურორის და ქვემდგომი პროკურორების მიერ სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად".

18. 238-ე მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი" შეიცვალოს სიტყვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტი“.

19. კოდექსის პრეამბულის მერვე აბზაცში, 21-ე და 61-ე მუხლებში სიტყვები „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახალხო დეპუტატთა“. გარდა ამისა პრეამბულის მერვე აბზაცში სიტყვები „საყოველთაო-სახალხო (სახელმწიფო)“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო (საერთო-სახალხო“).

20. 23-ე, 142-ე, 144-ე და 240-ე მუხლებში სიტყვები „სამინისტროები და უწყებები“ შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები“.

21. 246-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება“; ამავე ნაწილში სიტყვები „(62-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ შეიცვალოს სიტყვებით „(62-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი)“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 4 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 288 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1980 წლის 12 ნოემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 10 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 289 ამხ. მ. ი. თევზაძის მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწალებულის გადარჩენის დროს გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სამტრედიის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორი ამხ. მიხეილ იოსების ძე **თევზაძე** დაჯილდოვდეს მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 290 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**მუშკუდიანი** გუტა რუბენის ძე — ქუთაისის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე.

**შალიკიანი** შოთა ალექსანდრეს ძე — ქუთაისის № 36 პროფესიული სახანძრო ნაწილის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 291 საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

**სოფლის** მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებისათვის გაწეული **ხანგრძ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“**

**გაბადაძეს** ციალა დავითის ასულს — დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის აგრონომს.

**მინდაძეს** ანზორ სიმონის ძეს — მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორს.

**ფალავანდიშვილს** ბექან ილიას ძეს — პრორექტორს კვალიფიკაციის ამაღლების დარგში, დოცენტს.

**„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“**

**გეგენავას** გრიგოლ ვლასის ძეს — პრორექტორს სამეცნიერო მუშაობის დარგში.

**ნათიშვილს** ოთარ გიორგის ძეს — პრორექტორს სასწავლო ნაწილში.

**სიხარულიძეს** მარიამ ალექსის ასულს — პროფესორს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“**

**ფუტკარაძეს** ბენიამინ შალვას ძეს — დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მთავარ ინჟინერს.

**წიკლაურს** ვასილ ტარიელის ძეს — სწავლების ოსტატს.

**„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“**

**გერასიმოვს** ბორის ალექსის ძეს — დოცენტს.

**რუხაძეს** თინათინ კლიმენტის ასულს — დოცენტს.

**ცაგარელს** გრიგოლ ნიკოლოზის ძეს — დოცენტს.

**ჭკადუას** ვალერიან კირილეს ძეს — დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 3 **ოქტომბერი.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 292 ამხ. ა. გ. მჟავანაძისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშრომელთა თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში აქტიური მონაწილეობისათვის, თეატრალური ხელოვნების დარგში და სტუდენტთა სახალხო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობისათვის, საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ინსტიტუტის სტუდენტთა თეატრის რეჟისორს ამხ. კუკური გრიგოლის ძე მუავანაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 3 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 293 სამხატვრო და სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების პედაგოგებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

**ავეტიკოვას** ასმიკ ისაკის ასულს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ადამიას** მარინე ვლადიმერის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკის სპეციალური საშუალო სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**აკოფიანს** ლუიზა სურენის ასულს — თბილისის X სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**ბოცვაძეს** თამარ თეოფილეს ასულს — ბათუმის I სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

**ბრეგაძეს** მანანა ვალერიანის ასულს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ბუზიაშვილს** ციალა იასონის ასულს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**გაბაშვილს** გულნარა ივანეს ასულს — თბილისის IX სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**გაბუნიას** ლილი სიმონის ასულს — თბილისის IX სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**გამცემლიძეს** არჩილ ვლადიმერის ძეს — თბილისის VI სამუსიკო სკოლის დირექტორს.

**გვეტაძეს** თამარ ალექსანდრეს ასულს — თბილისის V სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**გელოვანს** დალი მიხეილის ასულს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**გოგინაშვილს** ივანე იოსების ძეს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალანდარიშვილს** ქსენია ალექსის ასულს — თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.

**კარგარეთელს** ცირა გიორგის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური სპეციალური საშუალო სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**კეშელავას** ნელი კონსტანტინეს ასულს — თბილისის VII სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**კუკმას** ალექსანდრა ვიქტორის ასულს — სოხუმის II სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**კუკულაძეს** ზეინაბ ბალავერის ასულს — თბილისის VII სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**მაჩალაძეს** ელისაბედ იასონის ასულს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**მელამერსონს** იაკობ იოსების ძეს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**მოწონელიძეს** არდევან ალექსანდრეს ძეს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**პატარაიას** ნაზი ტროფიმეს ასულს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**სადარაძეს** თინათინ ნიკოლოზის ასულს — თბილისის III სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**სერგიას** გივი პროკოფის ძეს — თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებლის დირექტორს.

**ტყაბლაძეს** დავით საბას ძეს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ტურამიანს ლევან** ვაგანის ძეს — თბილისის III სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ურიდიას** ალა ნესტორის ასულს — თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ფედოროვას** ნინო ანდრიას ასულს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ქოიავას** ოლღა კონსტანტინეს ასულს — თბილისის IX სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**შამშურინას** ვალენტინა ბორისის ასულს — თბილისის XIV სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

**შანიძეს** ოთარ დომენტის ძეს — სამტრედიის სამუსიკო სკოლის დირექტორს.

**შერმადინს** ქრისტინე იოსების ასულს — თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჩახუნაშვილი-ქინქლაძეს** ლეილა ნიკოლოზის ასულს — თბილისის III სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჩოხელს** ლეილა ივანეს ასულს — თბილისის სამხატვრო სკოლის პედაგოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხაფავას** ლეილა გრიგოლის ასულს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ხუციშვილს** თამაზ რევაზის ძეს — თბილისის II სამუსიკო სკოლის დირექტორს.

**ხუჭუას** გურამ გრიგოლის ძეს — თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჯანდიერს** ნანა ნიკოლოზის ასულს — თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჯვარშეიშვილს** ალექსანდრა დავითის ასულს — ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

**ჯორჯიაშვილს** ლეილა ილიას ასულს — ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 8 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 294 სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მუშაკებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

**არუთინიანს** ლევან მელიტონის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" სახარჯთაღრიცხვო-ეკონომიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

**გულისაშვილს** თევდორე ლეონტის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" საგზაო-სახიდო განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

**თოფურიას** რევაზ იპოლიტეს ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" დირექტორს.

**კარტავენკოს** ალბიან თევდორეს ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მთავარ ინჟინერს.

**ლორიას** აბესალომ მამანტის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" პროექტის მთავარ ინჟინერს.

**მჭედლიშვილს** ვახტანგ დავითის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" წყალმომარაგებისა და კანალიზაციის განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქორჩილავას** ვლადიმერ ზოსიმეს ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მთავარ ინჟინერს.

**ქირაქაძეს** ნანული ივანეს ასულს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" № 1 სამშენებლო განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

**ხიზანოვს** ივანე კონსტანტინეს ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" ტექნოლოგიური განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი"

**გოგიჩაიშვილს** გულო ბენიამინის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მთავარ არქიტექტორს.

**მუხერიძეს** ციალა პარმენის ასულს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" № 1 სამშენებლო განყოფილების მთავარ არქიტექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"

**კვიჩიძეს** ნატალია პლატონის ასულს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" მთავარ ბუხჰალტერს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი"

**ბელიაევს** ნიკოლოზ სერგის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტის" № 2 სამშენებლო განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

**შავერზაშვილს** გიორგი ისაკის ძეს — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქსაპხროექტის" № 2 სამშენებლო განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 21 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 295 ამხ. ჯ. ი. გოკიელისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს ამხ. **ჯემალ ივანეს ძე გოკიელს** მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 296 ამხ. ნ. მ. ჩიქვილაძისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორს ამხ. ნოდარ მელიტონის ძე ჩიქვილაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 23 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 297 ამხ. ბ. ნ. გეჯაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. ბესარიონ ნიკოლოზის ძე გეჯაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 1 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 298 ამხ. რ. ი. პაპისოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნიადაგების ბონიტირების სექტორის გამგე ამხ. რუბენ ივანეს ძე პაპისოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1980 წლის 1 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 299 ამხ. ნ. ს. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მევენახეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ნოდარ სიმონის ძე ჩხარტიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 1 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 300 ამხ. თ. გ. გილიგაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს უფროსი ამხ. თენგიზ გიორგის ძე გილიგაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 2 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 301 ამხ. ვ. ტ. გოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ ტროფიმეს ძე **გოგოლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 2 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 302 საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებისათვის გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 3 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 303 საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებისათვის გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს შრომის წითელი დროშის

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები:

**ბათიაშვილი** ირაკლი დიმიტრის ძე — ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

**ბადრიშვილი** გიორგი მიხეილის ძე — მემცენარეობის კათედრის გამგე, პროფესორი.

**დეკანოიძე** გივი ილარიონის ძე — აგრონომიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

**კუპრეიშვილი** გიორგი თეიმურაზის ძე — პროფესორი.

